# ქართული!..

„...და სადამდისაც [illegible]!..“ ❖ № 5-6, 2001 წელი ❖ ფასი 30 თეთრი

## „ორენოვანი წარწერები არასრულფასოვნების გამოვლინებაა!“

**2001 წლის 12 აპრილს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი დიალოგი თემაზე „სახელმწიფო ენა და თანამედროვეობა“.**

ტრადიციული საზეიმო ღონისძიების ნაცვლად წლეულს ქართული ენის კათედრამ და გაზეთ „ქართულის“ სარედაქციო საბჭომ გამართა შეხვედრა—დიალოგი, რომელიც დაეთმო გულახდილ საუბარს სახელმწიფო ენის შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ—მასწავლებლები, სტუდენტები და ქალაქის საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები. ღონისძიება გახსნა უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგემ დოც. მ. ქაცარავამ. მან დამსწრეთ გააცნო შეხვედრის მიზანი.

**დოც. მ. ქაცარავა:** ქართული ენა სახელმწიფო ენაა, მას დღეს განსაკუთრებულად უჭირს და ამიტომაც განსაკუთრებულად სჭირდება დაცვა. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, ქართული ენის დღე უნდა იყოს საქმიანი, მუშა დღე და არა პომპეზური. გულახდილად უნდა ითქვას, რომ არც ერთი უცხოელი ძალით არ გვახვევს თავს სხვა ენას, მაგრამ ჩვენვე ვუწყობთ ხელს ჩვენი ენის დამცირება—დაკნინებას. დღეს საქართველოში ინგლისურ კოლეჯებში იზრდება „მსოფლიო ადამიანი“... თითქოს ჩვენს ენას მოჭირნახულე იმაზე მეტი ჰყავს, ვიდრე წინათ ჰყავდა, მაგრამ სინამდვილეში ქართული ენა მაინც ჭეშმარიტი მზრუნველის გარეშეა დარჩენილი. იბადება კითხვები: რას აკეთებს ამ დროს ენის სახელმწიფო პალატა, როგორია ჟურნალისტების დამოკიდებულება ამ ასპექტით... ასეთ ვითარებაში ჩვენ მარტო ფილოლოგები არა ვართ. ჩვენ უნდა ვიყოთ ენის „პოლიტიკოსებიც“, რომ დავიცვათ ქართული ენა.

**პროფ. ა. ნიკოლეიშვილი:** მე გამოვდივარ როგორც კოლეგა, ფილოლოგი, მოქალაქე და არა როგორც რექტორი. სამწუხაროა, რომ ქართული ენის სიყვარულშიც ცოტანი ვართ. დღეს ჩვენი სახელმწიფო ენა დგას რეალური საფრთხის წინაშე. რაც მტერმა საუკუნეების მანძილზე ვერ შეძლო, იმას ჩვენვე ვაკეთებთ. მონურად ვუხრით ქედს უცხო ენებს.

**პროფ. ტ. ფუტკარაძე:** ოფიციალურად 14 აპრილი დღემდე დედაენის დღეა! ამგვარი ფორმულირება გაყალბებაა სიტუაციისა, სინამდვილეში, 14 აპრილს დაიცვეს სახელმწიფო ენის სტატუსი. ამდენად, ეს დღე საქართველოს სახელმწიფო ენის დღეა. ჩვენ უნდა დავიცვათ სახელმწიფო ენის სტატუსი...

ერთ—ერთი მთავარი პრობლემა დღევანდელ საქართველოში არის ინტერნეტი. თუ დამკვიდრდება ინგლისურენოვანი ინტერნეტი, მაშინ ქართული ენა იქცევა მხოლოდ ოჯახისა და ქუჩის ენად. იგი მოკვდება, როგორც სახელმწიფო ენა. ცხადია, ეს პრობლემა აქ არ გადაწყდება. მაგრამ იგი ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, უნდა დავირაზმოთ და ვიმოქმედოთ.

**დოც. მ. ქაცარავა:** დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მიზანიც ხომ სწორედ ეს არის. მართლაც ყველა უნდა დავირაზმოთ, სიტყვა საქმედ უნდა ვაქციოთ, თორემ ისე მოგვივა, როგორც ტრადიციულად ხდებოდა—სიტყვა მეტი იყო, საქმე—ნაკლები.

**დოც. ო. გვენტაძე:** დღევანდელი შეკრება ტკივილიანია. ჩვენი წინაპრები თავიანთი მოღვაწეობით იცავდნენ ქართულს. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, აქამდე ვერ მოვიდოდით. მტრებმა 9 აპრილსაც კი ვერ „აჩეხეს“ ქართული ენა, თუმცა ახლა უფრო საშიშ ვითარებაში აღმოვჩნდით... ენათმეცნიერებთან ერთად შემოქმედი მწერალიც ხელს უწყობს ენის განვითარებას. იგი ყოველთვის უნდა ზრუნავდეს მისი სიწმინდისათვის. მე არ ვეთანხმები იმ მწერლებს, რომლებიც ჟარგონით, უხამსი სიტყვებით... წერენ. ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა მწერალ გურამ დოჩანაშვილის პროზა, განსაკუთრებით მოსაწონია მასთან სიტყვათქმნადობა.

**დოც. შ. დათუსანი** (შეკითხვა): ენა და ეროვნება განუყოფელია. საინტერესოა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტიდან ეროვნების ამოღება ხომ არ შეუქმნის საფრთხეს ენას?



**პროფ. ტ. ფუტკარაძე:** ისტორიის ამ მონაკვეთში ჩვენთან ამ თემის წინ წამოწევა დიდი შეცდომა იყო. ამოიღეს ეროვნება და უეროვნებო ქართველი არაფერია. ეს, რა თქმა უნდა, ხელს შეუშლის ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის—სტატუსის დაცვასაც

**პროფ. ჟ. ფეიქრიშვილი:** ამასთან დაკავშირებით მინდა შეგახსენოთ დიდი ივ. ჯავახიშვილის შეგონება: „იმ ერს, რომელიც თავის სამწერლობო ენას შესაფერისად არ განავითარებს, არც შეუძლია გონებრივი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწიოს, რადგან ამისათვის აუცილებლად საჭირო იარაღი არ აბადია. ენა არის სტიქიური სულიერი ბუნებისა და ძალის გამოხატულება და ერთობლივი შემოქმედების ნაყოფი. მისი გადაგვარება თვით ერის სულიერი გადაგვარების მომასწავებელია. ყოველი ქართველი, რომელსაც თავისი ერისათვის კეთილი სურს, მოვალეა ქართული ენის აღდგენას და მის განვითარებას ხელი შეუწყოს, ეს საჭიროა იმ გადაგვარებული წრეებისათვის კი არა, რომელთაც დედაენის დაკნინება სრულებითაც არ აწუხებთ იმიტომ, რომ პირადი კეთილდღეობა და დაწინაურება შეადგენს მათ უმთავრესს ზრუნვას, არამედ ჩვენი ხალხის და ეროვნების იმ უმრავლესობისათვის, რომლისთვისაც ქართული წინანდებურად სტიქიურად დედა—ენაა და მისი აზროვნებისა და გრძნობების ერთადერთი გამომხატველი“.

**დოც. მ. ქაცარავა:** სახელმწიფო ენა ჭეშმარიტად არის ერის სულიერი განვითარებისა და წინსვლის მძლავრი იარაღი, ამიტომ ხელისუფლება განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს მასზე. პარლამენტში სახელმწიფო ენის საკითხებზე პასუხისმგებელია პროფ. მ. გიგინეიშვილი, თუმცა ჩვენთვის უცნობია, რა კეთდება იქ ამ მხრივ. არავითარი აქტიურობა არ ჩანს.

**დოც. თ. ღვინიანიძე:** ენის განვითარებას განსაზღვრავს ოთხი ფაქტორი: სახელმწიფო პოლიტიკა, ოჯახური გარემო, სიტყვიერების მასწავლებელი და წიგნი. უნდა დავიწყოთ სიტყვიერების მასწავლებლით. სამწუხაროდ, ჩვენი სტუდენტები „არაქართული ქართულით“ მეტყველებენ. განსაკუთრებით ეს ითქმის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტების მიმართ. დღეს თითქოსდა ყველაზე იოლია ჟურნალისტობა. უწიგნური ჟურნალისტი, ცხადია, კი არ დაიცავს ენის სიწმინდეს, თავად შეუწყობს ხელს მის მოსპობას, ამიტომ უცოდინარმა დიპლომი ვერ უნდა მიიღოს, ვინც უნდა იყოს იგი, ფილოლოგი თუ ჟურნალისტი.

**დოც. ლ. თანდილაშვილი:** მე ვარ გერმანული და რუსული ენების სპეციალისტი, თუმცა სულითა და გულით ქართველი. არასოდეს არ მიმაჩნდა გამართლებულად ქართველი ბავშვის რუსულ სკოლაში შეყვანა. ახალგაზრდის ცნობიერების ძირითადი ფორმირება 18–20 წლამდე ხდება. ამიტომ ქართველი ბავშვი ქართულ სკოლაში უნდა სწავლობდეს.

მეორეც, ასევე მტკივნეულია დღეს ქართულ ენაში ნასესხები სიტყვების მომრავლება. ზოგჯერ იბეჭდება ისეთი სტატია, რომ უცხო სიტყვათა ლექსიკონის მოშველიებაა საჭირო, მაშინ როცა ქართული ენის მდიდარ ლექსიკურ ფონდში უხვად მოიძებნება მათი შესატყვისები.

**მ. ლოლუაშვილი** (შეკითხვა): ფილ. ფაკ. II კ. სტუდენტი: არის თუ არა აუცილებელი ჩვენი უნივერსიტეტის აბრაზე ორენოვანი წარწერა? ან რატომ არის მაინცდამაინც ინგლისურად და არა სხვა საერთაშორისო ენაზე?

**პროფ. ა. ნიკოლეიშვილი:** არ მიმაჩნია გამართლებულად ეს პოზიცია. თუმცა ამ ეტაპზე შეიძლება დარჩეს, ვინაიდან ასეა სხვა ქვეყნებშიც.

**პროფ. ტ. ფუტკარაძე:** ორენოვნება არასრულფასოვნების გამოვლინებაა. ეს მცირერიცხოვანი ერის პრობლემაა. არსებობს გამოსავალიც: უცხოენოვანი წარწერა იყოს მცირე ზომის შრიფტით.

**პროფ. ჟ. ფეიქრიშვილი:** საინტერესოა, როგორ არის ეს ევროპის სხვა ქვეყნებში?

**პროფ. ა. ნიკოლეიშვილი:** ევროპის დიდ ქვეყნებში ეს პრობლემა არ დგას. იქ წარწერები ერთენოვანია. აღმოსავლეთის ქვეყნებში ორენოვანი წარწერები არის.

**პროფ. ო. გიორგაძე:** ჯერ კიდევ კომუნისტურ რეჟიმში ერისკაცები გამოდიოდნენ ორენოვნების, რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგონდება კონსტანტინე გამსახურდიას აღშფოთება რუსულად დაწერილი ავტორეფერატის გამო.

**დოც. ჰ. ვაჩრიძე:** სამწუხაროდ, დღესაც მიღებულია დადგენილება ავტორეფერატის ერთ—ერთ უცხო ენაზე წარმოდგენის შესახებ.

**სტუდენტი (იურისტი):** ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტების სახელმძღვანელოები ძირითადად უცხო ენებიდანაა თარგმნილი. ისინი ენობრივად გაუმართავი და გაუგებარია. ჩვენ თქვენგან (ფილოლოგებისაგან) ველით დახმარებას... ყველა ქართველს უნდა აინტერესებდეს ქართული, უნდა ზრუნავდეს მასზე. სამწუხაროა, რომ დღეს არ იგრძნობა სტუდენტების აქტიურობა. ახლა ამ დარბაზში ტევა არ უნდა იყოს, იმდენად მნიშვნელოვან საკითხებზეა აქ საუბარი...

**დოც. რ. სალინაძე:** იურიდიულსა თუ სხვა არაფილოლოგიური ხასიათის ნაშრომს ფილოლოგი ვერ თარგმნის. ასეთი პროფილის ნაშრომები შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა უნდა თარგმნონ. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ცოდნა სავალდებულო და აუცილებელია ყველასათვის. ახალგაზრდებო სხვას ნუ დაელოდებით, თავადაც იზრუნეთ თარგმანის პრობლემაზე.

**პროფ. ჟ. ფეიქრიშვილი:** საინტერესოა საინფორმაციო საშუალებათა დამოკიდებულება სახელმწიფო ენის მიმართ, კერძოდ, ჟურნალისტები მსჯელობენ თუ არა საგანგებოდ ენის საკითხებზე, როგორ ხდება მასალის ენობრივი მხარის კონტროლი.

**ნ. დეისაძე** (გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი): ყოველთვის ვცდილობთ, რომ გაზეთი ენობრივადაც გამართული იყოს, მაგრამ ამ მიმართულებით საგანგებო შეხვედრები და აზრთა გაზიარება ჯერჯერობით არ ყოფილა. სამომავლოდ ამის გათვალისწინება კარგ შედეგს მოიტანს.

**ე. ფხაკაძე** (ტელეკომპანია „ივერიონი“). შეკითხვა: დღეს ბევრი ფილოლოგი უმუშევარია. არის თუ არა ამ უნივერსიტეტში მარნეულისა და სხვა განაპირა მხარეებში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტთა გაგზავნის პოლიტიკა?

**დოც. მ. ქაცარავა:** ჩვენს უნივერსიტეტში ამგვარი პოლიტიკა არ არსებობს. სასურველია, მართლაც იგზავნებოდნენ განაპირა მხარეებში სპეციალისტები.

**პროფ. ტ. ფუტკარაძე:** მიმაჩნია, რომ ეს პრობლემა დღეს არსებითია. სახელმწიფო ვერ იქნება სახელმწიფო, სანამ ამ პრობლემას არ მოუვლის. ეს სწორედ ენის სახელმწიფო პალატის საქმეა. მან უნდა უხელმძღვანელოს ამ საკითხების გადაწყვეტას. სამწუხაროდ, ეს მნიშვნელოვანი პრობლემა დღეს მივიწყებულია, ამაზე არავინ ზრუნავს.

დასასრულს, ქართული ენის კათედრის გამგემ დოც. მ. ქაცარავამ [illegible] აღნიშნა სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი საქმიანი შეხვედრა—დიალოგის მნიშვნელობა, გამოკვეთა ერის როლი ენის განვითარებაში და საზოგადოების უპირველეს მოვალეობად მისი დაცვა და სრულყოფა დაასახა.

[illegible]

თვალსაზრისი

# „ლამის სირცხვილით ამეწვას ლოყა!"

სტუდენტებს გაკვეთილებზე კარგ ტრადიციად ქცეული ნდობის ფაქტორი მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს, მწერლის საუკეთესო ნაწარმოებები საკუთარი სურვილისამებრ შეარჩიოს. ამ მეთოდს ბევრნაირი გამართლება გააჩნია. ჯერ ერთი, მოსწავლე არ იზღუდება დაწესებული სტანდარტით და არჩევს თავისი გემოვნებისამებრ აკეთებს შერჩევას, ეცნობა პოეტის მთელ შემოქმედებას და მრავალთა შორის ირჩევს ერთს, მისი აზრით, საუკეთესო ნაწარმოებს; ამავე დროს განმავლობაში ეჩვევა გემოვნებას; მეორეც, შესაძლებლობა ეძლევა, მეგობრის ამხანაგების მიერ შერჩეული, მათი აზრით, საუკეთესო ნაწარმოებები და ა. შ.

მაგრამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა ხშირად ქმნის ფონს, რომელიც მხოლოდ ერთ ადგილზე აჩერებს. ვგულისხმობ სიყვარულის თემაზე მუშაობის მომენტს, რომელიც ყველაზე დიდ სიფრთხილეს, დაკვირვებასა და მორიდებას საჭიროებს.

მოზარდები, რომელთაც მიჯნურობის სანუკვარი ასაკი უდგათ, გატაცებით სწავლობენ სიყვარულის მოტივზე შექმნილ შედევრებს და გულში დაფარულ თუ ოცნებაში წარმოსახულ სანიაზო გრძნობასაც მათგან ამოკრებილი სტრიქონებით ესათუთებიან. ისინი ხარბად ისრუტავენ სიყვარულის დასახასიათებლად გამოყენებულ პოეტურ სინტაქსს და გონებაში ხარბად იუნჯებენ გამოთქმებს: „საზეო, ალმაფრენათა მომცემი სიყვარული", „ამაღლებული სიყვარული", „წმინდა, ფაქიზი სიყვარული", „უკვდავი, უბერებელი სიყვარული", „მარადიული სიყვარული", „ცით კურთხეული სიყვარული", „ღვთაებრივი სიყვარული" და მრავალი სხვა. სიყვარულის თემაც, მათი აზრით, ყველაზე ადვილი და „გემრიელი" საკითხია, რადგან მასზე საუბრისას ისე ლაღად გრძნობენ თავს, როგორც თევზი წყალში და არწივი—ლაჟვარდში.

გამოცდილება გვარწმუნებს, რომ მთლად ასე არაა საქმე. მწერლის შემოქმედებაში სიყვარულის მოტივის გასაშუქებლად ამ თემაზე დაწერილი ყველა ნაწარმოები როდი გამოდგება. სათანადო მასალის შერჩევა უდიდესი ტვირთია და მისი ზიდვა მოსწავლეებს ყოველთვის არ ხელეწიფებათ. ნდობის ფაქტორიც მასწავლებელს, შესაძლოა, სასჯელად გადაექცეს, რადგან ერთგვარი ლოკალიზება შესარჩევი მასალის ჩამონათვალსაც ესაჭიროება.

ძნელი წარმოსადგენია გასაჭირი მასწავლებლისა, რომელსაც მოსწავლე „სიყვარულის ღვთაებრივი გრძნობის" საილუსტრაციოდ „უსაყვარლესსა და უტურფესს" ლექსს, იოსებ გრიშაშვილის „ლიას" უკითხავს და უმტკიცებს, რომ მისი ბადალი იშვიათად მოიპოვება ქართულ სატრფიალო ლირიკაში, ლექსის დასაწყისი მართლაც მშვენიერია:

„მე შენს სახელს შემოვევლე! ლია! ლია!
ლია! ლია!
ეს სახელი ჩემს ბაღჩაში ტყის
ფოთლების შრიალია!..
ყველა ცოცხლობს შენს სახელთან, ყველა
შენი ტრფიალია,
მე შენს სახელს შემოვევლე! ლია! ლია!
ლია! ლია!

მაგრამ მოსწავლე, რომლის ნანდაურს, ვინ იცის, **ლია** ჰქვია, უდიდესი პათოსით აგრძელებს ლექსს და ვერც კი გრძნობს, რა საშინელი ცოდვის თანამონაწილე ხდება თავის მსმენელებთან ერთად, როცა ასეთ მკრეხელურ ტაეპებს წარმოთქვამს:

„ან სალომე არ იყო, რომ
ჯავრ—გადამხდელ,
ტკბილ ზმორებით იოჰანეს მოკვეთილ თავს
დაეკონა ამბორებით?
თვით იუდა? იუდაც ხომ შურს მალავდა,
შურს ნელინელს
და, როს იგი შეეტრფოდა მრუშ მარიამ
მაგდალინელს,
მარიამს კი ქრისტეს ტრფობა ედებოდა
გულს ნაკვერცხლად...
ქალის გამო ქრისტე გასცეს სულ
ოცდაათ რაღაც ვერცხლად!"

წმინდა წერილის მხატვრული გარდასახვისას ესოდენ ლაღი ფანტაზიის მოხმობა საღვთო საქმედ ნამდვილად ვერ ჩაითვლება. არც ისაა „მსმენელთათვის დიდი მარგი", ხენეში ხე რომ ნაყოფსავსე ზეთისხილად გამოაცხადო. მოსწავლისათვის იმ სახედველის დახშობაც, რომლის მეშვეობითაც „წუელი" და „დჯრწ" ერთურთისაგან უნდა განესხვავებინა, სულიერებისაგან დაცლილ გაკვეთილებზე შობილი განჯგონებულობის შემზარავ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ.

ისტორიული გმირის შესახებ არარსებული ან მატიანეში დაუფიქსირებელი სასიყვარულო თავგადასავლის შეთხზვა—გამოგონებას შემოქმედებითი თავისუფლება ჰქვია. მწერლის ფანტაზიით შექმნილი რომანული ეპიზოდები ის სამკაულებია, რომლებიც ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას განსაზღვრავენ და ავტორს ვრცელი ისტორიული ეპოპეის შექმნის შესაძლებლობას აძლევენ (მოვიგონოთ კოლონკელიძის ასულზე უგონოდ შეყვარებული გიორგი მეფის ტრაგედია ან დავით მეფის თავდავიწყებული სიყვარული დედისიმედისადმი). მაგრამ, როცა მწერალი სიყვარულის სიდიადის წარმოსაჩენად სახარებისეულ „სიუჟეტს" მოუხმობს და გვარწმუნებს, რომ სალომე (ა) იოანე ნათლისმცემელზე იყო გამიჯნურებული, იუდა ისკარიოტელი მრუშ (?) მარიამ მაგდალინელს ეტრფოდა, ეს უკანასკნელი კი (ღმერთო, მაპატიე!) ქრისტეს სიყვარულით იდაგებოდა, და იუდამაც მაცხოვარი ეჭვიანობის ნიადაგზე გასცა 30 ვერცხლად (მაპატიე, მაპატიე, ღმერთო!), საქმე სწორედაც აუწონელ მკრეხელობასთან გვაქვს და ასეთი ნაწარმოები ლიტერატურის ისტორიას უნდა დავუთმოთ, როგორც უღმერთობის საუკუნეში აღმოცენებული გაუკუღმართებული აზროვნების შემზარავი ნიმუში, საზეო სიყვარულის წარმოსაჩენად კი სხვა ქმნილებები მოვიძიოთ.

„ლამის სირცხვილით ამეწვას ლოყა!"— სულ სხვა ვითარებაში წარმოთქმულ ამ სიტყვებს წამოიძახებდა, ალბათ, ი. გრიშაშვილი, იმ სულიერი განწყობის გამოხატვა რომ მოეწადინებინა, რომელიც ჩემში „ლიაში" ასახული მკრეხელობის მასშტაბების გააზრებამ აღძრა.

**როზა ლევდარიანი**

ინტერვიუ

# ინგლისურმა ქართული არ უნდა დაგვავიწყოს!



(ინტერვიუ არასამთავრობო საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთის" დირექტორ ბ-ნ არჩილ ბაკურაძესთან)

ბევრი ფიქრი და ბჭობა არ დაგვჭირვებია იმისათვის, რომ არასამთავრობო საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრ „აფხაზეთის" დირექტორ ბატონ არჩილ ბაკურაძესთან ინტერვიუს ასაღებად მივსულიყავით.

ორიენტაცია არასამთავრობო ორგანიზაციისაკენ იმიტომ ავიღეთ, რომ სწორედ ამგვარ ცენტრებში (თუმცა, არა მარტო არასამთავრობო ორგანიზაციებში) ხდება ქართული ენისადმი უყურადღებობის გამომჟღავნება, რაც იმაში გამოიხატება, რომ არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები მიილტვიან შეისწავლონ უფრო ინგლისური ენა, ვიდრე—ქართული. თუმცა, „რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო", მაგრამ, უპირველესად, მაინც საკუთარი ენის საფუძვლიანი ცოდნა გვიჩვენებს ვინცა ხარ და რაცა ხარ.

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი" დღესდღეობით ქალაქში საკმაოდ წარმატებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რაც მის საქმიანობაში გამოიხატება.

*— ბატონო არჩილ, რამდენი წელია, რაც ეს ორგანიზაცია არსებობს და რას ემსახურება იგი ძირითადად?*

— ჩვენმა ორგანიზაციამ 1995 წლის სექტემბრიდან დაიწყო არსებობა. მან განვითარების მხრივ საკმაოდ სერიოზული და საინტერესო გზა განვლო. საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი" ძირითადად, სოციალურად და ეკონომიურად დაუცველ პირებს ეხმარება. გვაქვს სხვადასხვა პროგრამა, კერძოდ: მცირე ბიზნესის, მოზარდთა განვითარების და სხვა. მივისწრაფვით, მივიღოთ და გავითვალისწინოთ ყველა ნორმა დასავლური დემოკრატიული არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე.

*— რამდენად აქტუალურია თქვენთვის ისეთი საკითხი, როგორიცაა ენა, და კერძოდ, ქართული ენისადმი დამოკიდებულება?*

— დაინტერესება დიდია. შეიძლება ითქვას, რომ ეს ენა ჩემთვის ამოუხსნელ ფენომენს წარმოადგენს. ქართული განსაკუთრებული ენაა და ის ჩვენი სიმდიდრეა.

*— როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა, ევროპულმა ინტეგრაციამ საფრთხე შეუქმნას ქართულ ენას?*

— ევროსაბჭოში შესვლის სანაცვლოდ შეიძლება ბევრი რამის დათმობა მოგვთხოვონ... ევროპულმა ინტეგრაციამ საფრთხე შეუქმნა ქართულ ენას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი მშობლიური ენა გაქრება. ენის დაკარგვა საკუთარი ღირსების დაკარგვას ნიშნავს. სანამ ქართული ენა გვექნება, გვექნება ღირსებაც...

*— რას ფიქრობთ ორენოვან წარწერებზე და მიგაჩნიათ თუ არა, რომ ის აუცილებელია?*

— ორენოვანი წარწერები ჩვენს ორგანიზაციაში აუცილებელია, რადგან უამრავი უცხოელი გვსტუმრობს, იგი თითქოსდა, ერთგვარი, სტუმრისადმი პატივისცემის გამომხატველიც კი არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინგლისურმა ქართული დაგვავიწყოს!

*— არის თუ არა თქვენს პროგრამებში რაიმე, ქართული ენისადმი მიძღვნილი?*

— სპეციალურად ქართული ენისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩვენთან არ ჩატარებულა, თუმცა დიდია ინტერესი ქართული კულტურის, ნაციონალური ცეკვებისა და ქართული პოეზიის მიმართ.

*— ბატონო არჩილ, გაითვალისწინებთ თუ არა სამომავლო გეგმებში პროგრამას ქართულ ენასთან დაკავშირებით?*

— მაგ მხრივ, ჯერჯერობით, არაფერი გვაქვს დაგეგმილი, მაგრამ თქვენი სტუმრობის შემდეგ შევეცდებით, ჩვენს პროგრამაში ქართული ენისადმი ინტერესი გავაღრმავოთ.

— ჩვენც ამის გვჯერა, დიდი მადლობა საუბრისათვის!

*არასამთავრობო საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი" ცდილობს, არ გაუწიოს დუბლირება იმ საგნებს, რომლებსაც ქართველ მოზარდებს სკოლაში ასწავლიან. აქ ხდება ქართულისა და ისტორიის ფრაგმენტალური შესწავლა, ხოლო კონკრეტული დისციპლინა ქართული ენის დასაუფლებად ჯერჯერობით არ არსებობს. ეს კი ძალზე სამწუხაროა. ქართველი საზოგადოების სამსახურში მყოფი ორგანიზაცია სათანადო ადგილზე უნდა აყენებდეს სახელმწიფო ენას. იმედია, ცენტრ „აფხაზეთის" ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ამ საუბრის შემდეგ სათანადო ღონისძიებებს მიმართავს.*

ნათია აბულაძე,
მანანა ლეჟავაშვილი
ქუთაისის აკ. წერეთლის
სახელობის სახ. უნივერსიტეტის
ფილოლოგიის ფაკულტეტის
II კურსის სტუდენტები

# საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს მიერ მოწოდებული მასალები

### საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის იმერეთის დეპარტამენტი და ქუთაისის სამმართველო უღრმეს მადლობას უცხადით ყველა თანამდგომს, ვინც სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა განხორციელებაში დაგვეხმარა

2001 წლის 8 აპრილს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველომ სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი, „ქართული ენის საუკეთესო მცოდნეთა" გამოსავლენი, უკვე ტრადიციადქცეული კონკურსი „დედაენა" ჩაატარა. კონკურსის I (წერით) ტურში ჩვენი ქალაქის სასწავლო დაწესებულებათა 61 მოსწავლე მონაწილეობდა. გამარჯვებულმა შვიდეულმა კი 11 აპრილს გამართულ II (ზეპირ) ტურში გასვლის უფლება მოიპოვა.

საბოლოოდ, სახელი „ქართული ენის საუკეთესო მცოდნე" გიორგი წურწუმიამ და ბელა კილასონიამ დაიმსახურეს. მათ კონკურსის ნომინაციებში ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს.

გაგაცნობთ კონკურსში მონაწილეთა და გამარჯვებულთა ვინაობას.

| № | მოსწავლის სახელი, გვარი | I ტური | II ტური | სასწავლებლის დასახელება |
|---|---|---|---|---|
| 1 | მირანდუხტ სერგია | 37 ქულა | | აკ. წერეთლის სახელობის I გიმნაზია |
| 2 | ინა ჩახუნაშვილი | 41 | | მე–10 სკოლა |
| 3 | ნინო გაბუნია | 39 | | —„— |
| 4 | ნატო გოგავა | 36 | | მე–12 სკოლა |
| 5 | თეონა აფრიდონიძე | 28 | | — |
| 6 | ანა კობახიძე | 33 | | მე–14 სკოლა |
| 7 | ანა კუბლაშვილი | 29 | | — |
| 8 | თინათინ ფცქიალაძე | 25 | | მე–18 სკოლა |
| 9 | მაია კურტანიძე | 31 | | — |
| 10 | ნინო გოგელია | 25 | | — |
| 11 | ფიქრია შალიკიანი | 32 | | 22–ე სკოლა |
| 12 | სალომე ბანძელაძე | 34 | | — |
| 13 | თინათინ ლეთოდიანი | 38 | | 23–ე სკოლა |
| 14 | თამარ ჭეიშვილი | 34 | | — |
| 15 | თამარ დუნდუა | 36 | | — |
| 16 | სალომე გურეშიძე | 40 | | — |
| 17 | ანა გურგენიძე | 32 | | — |
| 18 | ინგა ჩალაძე | 27 | | 24–ე სკოლა |
| 19 | სალომე მამრიკიშვილი | 38 | | — |
| 20 | ანა ბლიაძე | 39 | | 27–ე სკოლა |
| 21 | ნათია გიორგაძე | 31 | | 30–ე სკოლა |
| 22 | არჩილ წირღვავა | 32 | | |
| 23 | ნინო კვირიკაშვილი | 32 | | — |
| 24 | რუსუდან სხილაძე | 28 | | — |
| 25 | ნინო გოლეთიანი | 33 | | — |
| 26 | შორენა გუდაძე | 40 | | — |
| 27 | ცირა სილაგაძე | 41 | | 32–ე სკოლა |
| 28 | ხათუნა არბოლიშვილი | 37 | | 32–ე სკოლა |
| 29 | ალიმ ბოჭორიშვილი | 26 | | 32–ე სკოლა |
| 30 | თეონა ბობოხიძე | 39 | | 34–ე სკოლა |
| 31 | თინათინ კუპრაძე | 36 | | 34–ე სკოლა |
| 32 | სოფიო რევიშვილი | 33 | | 36–ე სკოლა |
| 33 | ბელა კილასონია | 42 | (180) | 37–ე სკოლა |
| 34 | ანა ორდინიძე | 45 | (162) | — |
| 35 | თათია გვეტაძე | 34 | | 38–ე სკოლა |
| 36 | იზოლდა თავაძე | 31 | | — |
| 37 | თამთა ჭავჭანიძე | 36 | | — |
| 38 | ელვირა კოტუა | 37 | | 38–ე სკოლა |
| 39 | სალომე აბრამიშვილი | 35 | | — |
| 40 | ნათია გეგენავა | 23 | | — |
| 41 | ლელა ჯინჭარაძე | 42 | (131) | ქ. ს. უნივერსიტეტის საბაზო სკოლა–გიმნაზია |
| 42 | დიანა ჯანაშია | 32 | | ახალმოწამეთა სახელობის |
| 43 | ქეთევან საღრიშვილი | 33 | | მართლმადიდებლური სკოლა |
| 44 | მარიამ იაკობაშვილი | 34 | | ჰუმანიტარული ლიცეუმი |
| 45 | ხათუნა ტორონჯაძე | 35 | | — |
| 46 | მარიკა გოგორიშვილი | 39 | | — |
| 47 | ნანა სულაბერიძე | 38 | | — |
| 48 | თამარ ვაჩაძე | 39 | | — |
| 49 | რუსუდან ხმელიძე | 41 | | — |
| 50 | სოფიო გოგავა | 39 | | — |
| 51 | თამარ სირბილაძე | 43 | (139) | — |
| 52 | ხატია შავგულიძე | 38 | | — |
| 53 | ნონა ჭუმბაძე | 44 | (153) | — |
| 54 | მაია ჩიბურდანიძე | 36 | | — |
| 55 | თინათინ შარიქაძე | 40 | | — |
| 56 | ფიქრია ფხაკაძე | 30 | | — |
| 57 | ანა წურწუმია | 37 | | — |
| 58 | გიორგი წურწუმია | 47 | (180) | — |
| 59 | მირანდა ჩხიკვიშვილი | 36 | | — |
| 60 | ვერა ცირეკიძე | 42 | (162) | — |
| 61 | მეგი ჯიშკარიანი | 35 | | — |

1. გიორგი წურწუმია (პედაგოგი: ირმა შიშინაშვილი)
2. ანა ორდინიძე (პედაგოგი: გულო ცეცხლაძე)
3. ნონა ჭუმბაძე (პედაგოგი: ირმა შიშინაშვილი)
4. თამარ სირბილაძე (პედაგოგი: მარინე უკლება)
5. ლელა ჯინჭარაძე (პედაგოგი: აზა ჯამბურიძე)
6. ბელა კილასონია (პედაგოგი: გულო ცეცხლაძე)
7. ვერა ცირეკიძე (პედაგოგი: ირმა შიშინაშვილი)

## 14 აპრილი სახელმწიფო ენის დღეა!



კონკურსი „დედაენა"
8 აპრილი



ფერადი ცარცებით ასფალტზე წერა
10 აპრილი



საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი აქცია. ბროწეულას სკოლა-ინტერნატი
12 აპრილი



სახელმწიფო ენა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები — დიალოგი ჟურნალისტებთან
13 აპრილი



## განცხადება

10–11 მაისს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს ოფისში იმერეთის ენის დეპარტამენტისა და ქუთაისის სამმართველოს მორიგი სხდომა ჩატარდა. შეკრებას იმერეთის რაიონების განყოფილებათა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მერაბ ამაღლობელმა და სამმართველოს უფროსმა ქეთევან ყურაშვილმა 1–14 აპრილს ჩატარებული სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები შეაფასეს...

დაისახა მუშაობის ახალი მიმართულებები, განაწილდა ფუნქციები, რაც ენობრივი პოლიტიკის უკეთ წარმართვას შეუწყობს ხელს.

ქუთაისის ენის სამმართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და ჟურნალისტებთან თანამშრომლობის ახალ ფორმებზე იმსჯელეს.

გადაწყდა: ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათისა და პარასკევს გაიმართოს ენის დეპარტამენტისა და ქალაქის სამმართველოს სხდომები. მათზე დასწრება ენობრივი პოლიტიკით დაინტერესებულ ყველა პიროვნებას შეუძლია. მორიგი შეხვედრება 28–29 ივნისს შედგება.

**გაზეთ „ქართულის“ ამ გვერდზე წარმოდგენილ რუბრიკათა მასპინძლებიცა და სტუმრებიც მოსწავლეები არიან. იმედია, მათი ნააზრევი სახელმწიფო ენის შესახებ მკითხველისაგან ყურადღებამოკლებული არ იქნება და თუ უფროსებიც ასევე დაფიქრდებიან მათ მიერ წამოჭრილ საკითხებზე, ენობრივი პრობლემები აღარ იარსებებს...**
**(მასალები შერჩეულია მოსწავლეთა საკონკურსო წერილებიდან, სტილი დაცულია).**

*„სახელმწიფო ენა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში“*

## სად ხარ, ცენზორო?

ქართული ლიტერატურისათვის ავადმოსაგონარმა ლუკა ისარლოვმა, თურმე ქართული ენა შესანიშნავად იცოდა და არა მარტო იმას ადევნებდა თვალს, რომ ქართველ მწერლებს მეფის რუსეთის საწინააღმდეგო არა დაეწერათ რა, არამედ ქართული ენის სიწმინდესაც იცავდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ლუკა ისარლოვს არ მივსტირით, მაგრამ ქართული პრესისა და ტელევიზიის შემყურეთ, ნამდვილად გვგონია, რომ, თუ „ცენზორის“ თანამდებობა აღდგებოდა და მას ქართული ენის სიწმინდის დაცვა დაევალებოდა, ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა და ამას სიკეთედ ის მოჰყვებოდა, რომ ზოგიერთი ჟურნალისტი ინგლისურის გარდა ქართულსაც ისწავლიდა. იქნებ მოდიდან გადავარდნილიყო უცხო სიტყვების ცოდნით თავმოწონებაც.

ზოგჯერ სატელევიზიო პროგრამაში უსმენ ჟურნალისტს და ყოველ მესამე წინადადებას ვერ იგებ. ტელევიზორს რომ მიუჯდები, გვერდით უცხო სიტყვათა ლექსიკონიც უნდა დაიდო, მაგრამ ხშირად ეს ლექსიკონიც ვერ დაგეხმარებათ, რადგან ჩვენს „განათლებულ“ ჟურნალისტებს სულ ახალ-ახალი სიტყვები შემოაქვთ ენაში. ტყუილად ამბობდა ნიკო მარი: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ ქართულმა არათუ სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას.“

ავიღოთ თუნდაც სიტყვა პროტოკოლი, რა საჭირო იყო მისი ხმარება. ხომ გვქონდა მისი შესატყვისი—ოქმი. ახლა ამბობენ: „ხელი მოაწერეს პროტოკოლს“ რატომ არ შეიძლება ვთქვათ: „ხელი მოაწერეს ოქმს“. ან რა საჭიროა სიტყვა თინეიჯერი. გადაშალეთ, ბატონო, სულხან-საბას „სიტყვის-კონა“, რამდენი მშვენიერი სიტყვა მოგვეპოვება ქართველებს სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდის აღსანიშნავად. ასეთი მაგალითი უამრავია. მოუსმინეთ ჩვენს ტელევიზიას, გადაშალეთ ჟურნალ-გაზეთები და მათ იოლად იპოვით.

ჟურნალისტებო, და არა მარტო ჟურნალისტებო, ყურადღებით წაიკითხეთ გერონტი ქიქოძის სიტყვები ქართულ ენაზე თქმული: „მას ძალიან მაგარი ჩონჩხი აქვს. მისი შემწეობით ენერგიულად და ლაკონურად შეიძლება აზრის გადმოცემა. ამ ენის სახით ჩვენმა წინაპრებმა ეროვნული ვინაობის თავდაცვის იარაღი გვიანდერძეს“...

წაიკითხეთ და დაფიქრდით. იქნებ იმაშიც დამეთანხმოთ, რომ ცენზორის თანამდებობის აღდგენა ურიგო აზრი არ არის.

**ნინო უჩაძე**
**ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლის X ჰუმ. კლასის მოსწავლე**

## „ზოგჯერ წაუკითხაობა სჯობს“...

რამდენ სიხარულს გვანიჭებს ახალი გაზეთი! მისი მეშვეობით ვიღებთ ცინცხალ ინფორმაციას, ათასფერად შთაბეჭდილებას, იმდენ სააზროვნოსა თუ საფიქრალს, რომ ფაქტობრივად, მოსაწყენად ვერ მოვიცლით.

მაგრამ, ამდენ სიკეთესთან ერთად, ზოგიერთ გაზეთს ისეთი უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია ახალგაზრდა მკითხველის გემოვნებასა და სამეტყველო ლექსიკაზე, რომ, მგონი, სულაც მისი წაუკითხაობა სჯობდეს.

აბა, რას გვაძლევს ასეთი ფრაზებით „დამშვენებული საგაზეთო წერილები?—
„მაკა ასათიანის კოსტუმები გლიჯავდა“.
„ლადო ბურდულმა ტუსოვკა დაშოკა“.
„ელიტარები მაგრა მარიაჟობენ“.

გაიგეთ ამ ფრაზებიდან რაიმე? ახლა მშობლიური ქართულის ბარბაროსულად დამახინჯების კიდევ რამდენიმე მაგალითს გაგაცნობთ:

„გადმოგირეკავ ამაღამ“.
„კონცერტში მონაწილეობას ღებულობენ“.
„პარლამენტარი გამგებელს დაეკონტაქტა.“

უფროსი და შუა თაობის ადამიანებმა, რომელთაც ინგლისურის ცოდნაზე ხელი არ მიუწვდებათ, არც კი იციან, რომ „თინეიჯერი“ ჩვენებური, სულხან-საბასეული ნორჩელია, ანუ „მოზარდი“. „ფანი“—თაყვანისმცემელი“, „შოპ“—მაღაზია და ა. შ.

თუ ადრე ჩვენი ენა რუსულიდან შემოჭრილი ბარბარიზმებით ნაგვიანდებოდა, ახლა უფრო კოსმოპოლიტური ენა—ინგლისური შეენაცვლა და ის გვპირებს დაპყრობას. ამას ემატება ჟარგონები და კალკები... და ეს თქვენი დიდი დამსახურებაცაა, პატივცემულო ჟურნალისტებო!

გეთაყვა, გაუფრთხილდით მშობლიურ ქართულს და ნუ შეგვასწავლით ასე დამახინჯებულად, თორემ... ერთ „მშვენიერ“ დღეს რუსთაველისა და გალაკტიონის თარგმნაც საჭირო გახდება ქართველი ბავშვებისათვის, რადგან ველარ შევიგრძნობთ მშობლიური ენის სურნელსა და სილამაზეს!

„მამული! ენა! სარწმუნოება!“—გვითხრა დიდმა ილიამ. ეს ჩვენი ეროვნული გადარჩენის ერთადერთი ქვაკუთხედია.

მაშ, რატომ ვერ ვხედავთ, რომ ენა—ლაზარე დღეს კატასტროფული საფრთხის წინაშე დგას?!

**იაგო ცერცვაძე**
**37-ე სკოლის მოსწავლე**
**IX კლასი**

*„ჩვენ, ენა და ქუჩა“*

## მოვუფრთხილდეთ ჩვენს ტკბილ ქართულს...

„ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით“

კარგად მეტყველება ადამიანის მაღალ კულტურაზე მიგვანიშნებს. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე ერის სულიერი დაკნინების ერთ-ერთ გამოვლინებად სწორედ ენის წახდენას მიიჩნევდა. არადა, როგორ დაგვარიგა სულმნათმა: „მამული, ენა, სარწმუნოება... თუ ამასაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობასთ“.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ქართველი ქართულ ენას გაუგულგრილდა, აღარც მისი სიწმინდე აინტერესებს და აღარც მოფრთხილება. დღევანდელი სინამდვილე სავალალოა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შევხვდებით ენის დამახინჯების მაგალითებს. ზოგჯერ ქუჩაში თავშეყრილი ბიჭები არათუ მეტყველებენ სწორი ქართულით, არამედ აშკარა უპატივცემულობას ავლენენ მშობლიური ენისა და მისი ლექსიკის მიმართ. ზოგიერთს ჰგონია, ოღონდ აზრი გააგებინოს თანამოსაუბრეს, სათქმელი გადმოსცეს და სულ ერთია, რას როგორ წარმოთქვამს.

ხშირად გვესმის რუსული სიტყვებისაგან შეკოწიწებული უგვანო საუბარი. მეგობრები ერთმანეთს ხვდებიან ქუჩაში:

„—პრივეტ! ჯიგარო, როგორა ხარ?
—ნიჩევო!
—კაროჩე, გუშინ გეძებდი.
—ვაფშე გინდოდა რამე?
—არა, პროსტო დაგირეკე, დაჟე ნომერიც მცოდნია ზეპირად.
—მაინც რა პონტი იყო?
—არაფერი, ახლა დროში ვიწვები, კაროჩე, მერე განახავ.
—ხარაშო! ვსიო?
—პაკა!
—დავაი...“

ამგვარი დიალოგები ძალიან ხშირად გვესმის, ჩვენდა საუბედუროდ. აქვე მოგიყვან მცირე „ლექსიკონს“ თავისი განმარტებით, ახალგაზრდების მეტყველებაში ხშირად ასეთი სიტყვები ჭარბობს:

ჯიგარო (ამხანაგო), შარაფისტი (ლოთი), მაყუთი (ფული), ბაითი (ძვირფასი სახლი, სიმდიდრე, ქონება), თომარი (არშიყი, ლაპარაკი), შანტრაბა (ძმაკაცების ან დაქალების ჯგუფი), თოხლაობა (ჭამა), სიაფანტი (მატყუარა, ყალბი), აითესა (გაიპარა, წავიდა), მევასება—არ მევასება (მომწონს, არ მომწონს), დავიადე (ხელში ჩავიგდე), დაბრიდა (მოკლა, გაანადგურა), გაუტყდა (ეწყინა, არ ესიამოვნა) და სხვა.

მეფე-პოეტი არჩილი თითქმის სამი საუკუნის წინათ წერდა:

„ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით, მაგრამ ცუდია გარევა ქართულს ენაში სხვასავით“. ჩვენ თუ არ მოვუარეთ და ვუპატრონეთ საკუთარ ენას, სხვა ჩვენკენ არც მოიხედავს. ისეც პატარა ერი ვართ და ერთ დროს მდიდარ, განვითარებულ და კულტურულ ენად წოდებული ჩვენი ქართული ხელიდან გამოგვეცლება.

დღეს, ყველა ჩვენგანის ვალია, დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე. სავალდებულოდ უნდა გავიხადოთ ყველამ, რომ ქართული ლიტერატურული ენის დამახინჯება არავის ვაპატიოთ, შეცდომა შევნიშნოთ და გავუსწოროთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული გრძნობის ყველაზე დიდი შემლახველი მშობლიური ენის დამახინჯებაა. ენა ცოცხალი ორგანიზმია—იზრდება, სუნთქავს, ძალას იკრებს, ვითარდება, კნინდება და კვდება.

ღმერთმა ნუ ქნას, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის ენა გადაშენდეს. არა, ქართულ ენას გადაშენება არ უწერია. ის ხომ ღმერთების ენაა. ღმერთი კი მარადიულია.

**ნათია შანგირაძე**
**აკაკი წერეთლის სახელობის კლასიკური გიმნაზია, VIIIა კლასი**

*სახელმწიფო ენა და სკოლა*

## საზოგადო ჭირი

„ცუდი ენით დაწერილი წიგნი მტვრიან სათვალესა ჰგავს, ხანაც მურით შეთხუპნულ მინის ფანჯარას“.
**კონსტანტინე გამსახურდია**

1951 წელს კონსტანტინე გამსახურდიამ გამოაქვეყნა „შენიშვნები ქართული ენის სახელმძღვანელოების გამო“. მასში განხილულია VI კლასის სახელმძღვანელო „მშობლიური ლიტერატურა“. მწერალი წიგნის ძირითად ნაკლად მიიჩნევს იმას, რომ მასში შეტანილი ნაწარმოებები არ გამოირჩევა ენობრივი სიწმინდით. შიო არაგვისპირელის, გ. წერეთლის, დ. კლდიაშვილის, ე. ნინოშვილის ენა გადატვირთულია „პროვინციული ჟარგონითა“ და ბარბარიზმებით.

კონსტანტინე გამსახურდია მოითხოვდა, დაბალი კლასებისათვის შედგენილი ლიტერატურის სახელმძღვანელოში გაესწორებინა მწერლის მიერ დაშვებული ენობრივი შეცდომები, რადგან „...როცა უასაკო ყმაწვილს თვალში მოხვდება რომელიმე უმართებულო ფორმა სიტყვის მოქცევისა, რაკი იგი კრიტიკული ათვისების უნარს მოკლებულია, იგი მაშინალურად ითვისებს უკანონოდ ნახმარ ზმნას, რომელიმე უხეშ ბარბარიზმს ან პროვინციულ ჟარგონს, რომლის შემოღება არც იყო ლიტერატურ ული ენისათვის საჭირო“.

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა. მე-6 კლასის „მშობლიური ლიტერატურის“ სახელმძღვანელო რამდენჯერმე გადამუშავდა. ახლა ჩვენ ხელთა გვაქვს წიგნი, რომელშიც ქართული ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებანია დაბეჭდილი, რომელთა ავტორების შესახებ ვერ ვიტყვით, რომ მათი ენა სავსეა პროვინციული ჟარგონით და ბარბარიზმებით. ეს სახელმძღვანელო საშუალებას აძლევს მოსწავლეს, თვალი გაადევნოს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას, შეიგრძნოს მშობლიური ენის მრავალფეროვნება, სიმდიდრე და გამოსახვის ამოუწურავი საშუალებანი.

VI კლასის „მშობლიური ლიტერატურის“ სახელმძღვანელოს (და არა მარტო მას) ახლა სულ სხვა გასაჭირი ადგას. ჩვენს დროში სახელმძღვანელოების გამოცემა სარფიან საქმედ იქცა. ლეგალურად თუ არალეგალურად, ნებართვითა თუ უნებართვოდ, ბევრი „ვაიგულშემატკივარი“ გამოჩნდა და იბეჭდება სახელმძღვანელოები, რომლებიც სავსეა ენობრივი შეცდომებით.

ავიღოთ ისევ VI კლასის „მშობლიური ლიტერატურა“, გამომცემლობა „საარი“, 2000 წელი. გადავშალოთ 33-ე გვერდზე, სადაც დაბეჭდილია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი თავი „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“. თეთრზე შავით სწერია: „მეფემან ბრძანა ვნახეო მიზეზო ლხენთა ლევისა“. სად გაქრა სასვენი ნიშნები? ან რატომ მიზეზო და არა მიზეზი? ან რას ნიშნავს: „დალრეჯით გცნა და მიბრუნდა წინაშე მიმავალთა“. მეექვსე კლასელისათვის „დაჩაგრულთ“ ახალი სიტყვაა და რა უნდა გაიგოს ან რა ფორმით უნდა დაიმახსოვროს, როცა წაიკითხავს: „ქალმან ქაღლა: „მოგახსენებ მე სიტყვასა დანაბედსა“.

უკეთესი დღე არც ილია ჭავჭავაძის „მოძღვარს“ ადგას. აი, იქიდან ამოკრეფილი „მარგალიტები“:

„წინ ედგა ერთი პატარა ბიწი თავჩაღუნული“.
„ჩვენო კალამი დაუღალავი გუთანია, მელანი კიდევ გულ-თვიძლიდან გამოწურული ჩვენი ოფლია“.

გავიხსენოთ ისევ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები იმის შესახებ, რომ უასაკო ყმაწვილი კრიტიკული ათვისების უნარს მოკლებულია და იგი მაშინალურად ითვისებს უკანონო ფორმებს. როცა მოსწავლე ამ სახელმძღვანელოში წაიკითხავს: „როცა დედამიწას მწვანე ხავერდივითჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ იმაზედა ვკითხულობთ ჩუენს ბედსაც.“ (გვ. 89)

„ადამიანიც მანშექმნა მიწისაგან და სულიც მანვუთაბერა“. (გვ 30)

რას ფიქრობთ, როგორ დაწერს იგი შემდეგში ამ ერთად დაბეჭდილ სიტყვებს, ან რას იფიქრებს სიტყვა „თაბერას“ მნიშვნელობაზე?

გამომცემლობა „საარის“ მიერ დაბეჭდილ სახელმძღვანელოში არც ვაჟა-ფშაველა დაუნდვიათ. აი, მაგალითები მისი მოთხრობიდან „ია“

„მე ყელს მოვიღერებ და ვინატრებ, ნეტა სიმჭერა შემეძლოს, ნეტავი დამბადებელს ჩემთვის ნიჭი მიეცა, რომ მექრო მაღლა ცა და ღრუბელი“...
„ყვალას უყვარს სიცოცხლე“
„უხაროდა ანასაც გაზაფხულის მოსვლა“ (უნდა იყოს—იმასაც).
„უცებ ლიფი გავარდა“.
„მე გარკვევილი არაფერი მესმის“.

თავს მეტად აღარ შეგაწყენთ. წიგნს შეცდომების გასწორება რომ ახლდეს, იგი რამდენიმე ფურცელს შეადგენდა. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ გალაკტიონ ტაბიძის სახელი ამ სახელმძღვანელოში ერთხელაც არაა სწორად დაბეჭდილი და იგი გალაქტიონად მოიხსენიება.

მინდა ისევ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები გავიხსენოთ: „ასოთამწყობის და კორექტორის... დაუდევრობა წაახდენს ხოლმე სკოლებისათვის განკუთვნილ ქრესტომათიებს და ანაგვიანებს ქართულ ენას. ეს ამბავი ცალკეულ გამოცემებში ისე სახიფათო არაა, როგორც სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში. ასეთი ქრესტომათიები წლების განმავლობაში [illegible] რცელებს ჟარგონს ნორჩი თაობის მეხსიერებაში“. სწორედ ამიტომ, ყველას ნამდვილად არ უნდა ეძლეოდეს სახელმძღვანელოების გამოცემის ნება. რა თქმა უნდა, სასტიკად უნდა იკრძალებოდეს [illegible] გადაღება, მაგრამ უნდა ისჯებოდნენ ისინიც, ვინც ამგვარ სახელმძღვანელოებს [illegible] თანაც—ლიტერატურისას. ჩემი ნება რომ იყოს, მე მათ საკმაო თანხით დავაჯარიმებდი, წიგნის გაყიდვას ავკრძალავდი და სამუდამოდ ჩამოვართმევდი სახელმძღვანელოების ბეჭდვის ნებას.

დასასრულს, ისევ დიდი კონსტანტინეს სიტყვა: „ბატონო გამომცემლებო და რედაქტორებო, ხშირად შეიარეთ ჩვენს მუზეუმებში და ნახეთ, თუ როგორის ყურადღებით ეკიდებოდნენ ძველი გადამწერები ქართული ენობრივი კულტურის უძველეს ძეგლებს. რა [illegible] სიყვარულით [illegible] ისინი გადასაწერ ტექსტს, როგორი [illegible] ისინი თვით დამწერლობას ქართული ასოებისას“.

**[illegible]**
**ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლის X ჰუმანიტარული კლასის მოსწავლე**

ჩვენ, ენა და ქუჩა

# ნიკეადან ქუთაისში მიმავალო მგზავრო...

**გაზეთ „ქართულის" 2000 წლის №7-ში გამოქვეყნებულ წერილის, რომელშიც წამოჭრილი პრობლემური საკითხები ჯერ კიდევ გადაუჭრელია.**

ამჯერად ქალაქის საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კერძოდ, ავტობუსებსა და მიკროავტობუსებზე სამარშრუტო აბრების ენობრივ გამართულობაზე გვინდა ვიმსჯელოთ. ჩვენ აქ არ ვაანალიზებთ, თუ ვინ, სად და რატომ აშავებს. ეს განყენებული საუბრის თემაა. მხოლოდ გვსურს, შეცდომებზე მივუთითოთ და მათი აღმოფხვრის გზები ვეძებოთ.

დავიწყოთ იმით, რომ ხშირ შემთხვევაში ქუჩათა სახელდება ძველი ან ზეპირ მეტყველებაში დამკვიდრებული სახელწოდებებით ხდება. ერთი ასეთი მაგალითია—**ავანგარდი**. ამგვარი ქუჩა, როგორც ვიცით, ქალაქში არ არსებობს. სახელწოდება დასახლებას ქარხანა „ავანგარდის" გამო შეერქვა. რაც შეეხება ქუჩას, 1989 წელს მას დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის საპატივცემულოდ **„სულხან—საბას გამზირი"** ეწოდა. ამიტომ, ჩვენც ეს სახელი უნდა ვიხმაროთ „ავანგარდის" ნაცვლად.

ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ჭავჭავაძის გამზირისა და ნიკეას ქუჩის გადაკვეთის დასახლებისას, როცა წარმოთქვამენ ან წერენ **„სტეკლოტარას"**. ეს რუსული სიტყვაა, მისი ქართული შესატყვისია **„მინისტარა"** და, ზემოაღნიშნული შემთხვევის მსგავსად, ადგილს სახელი მინისტარის ქარხნის გამო ეწოდა. ამიტომ, საჭიროებისას შეცდომა არ უნდა დავუშვათ და ქართულად **„მინისტარის ქარხანა"** დავწეროთ.

კიდევ ერთ შეცდომაზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ. საბერძნეთში მდებარეობს ქუთაისთან დაძმობილებული ქალაქი **ნიკეა**, რომლის სახელსაც 1985 წლიდან ატარებს ჩვენთვის კარგად ნაცნობი ქუჩა. შეცდომა კი ის არის, რომ სახელწოდებას წერენ—ხოლმე არა როგორც ქუჩისას, არამედ როგორც ქალაქისას—„ნიკეა". ამგვარი შეცდომა „ნიკეას პურის" მაგალითით უკვე დამკვიდრდა ჩვენში. ამრიგად, სახელწოდება უნდა წარმოვადგინოთ სრულად—**„ნიკეას ქუჩა"**.

ასევე შეცდომაა წარწერა „ვაკის უბანი". იგი უნდა დაიწეროს ერთ სიტყვად **„ვაკისუბანი"**. ვფიქრობთ, შეცდომად უნდა ჩაითვალოს ფრაზა **„გორის ქუჩის გავლით"** იმ ავტობუსთა თუ მიკროავტობუსთა წარწერებზე, რომლებიც რუსთაველის გამზირის გავლით მოძრაობენ. მიზეზი ის არის, რომ რუსთაველის გამზირის ნაწილს (ზ. გამსახურდიას მოედნიდან ქალაქის საზღვარ სოფელ ქვიტირამდე) 1990 წლამდე ერქვა ქ. გორის სახელი. ამდენად, სახელწოდება ძველია და იგი ახლით უნდა შეიცვალოს.

არაერთხელ შემოკლებული ფორმით გვხვდება სიტყვა **„ცენტრალური"**, **„ც/მოედანი"**, **„ც/ბაზარი"**; **„ც/ავტოსადგური"**. როგორც ვიცით, „ცენტრალურ მოედანს" „დავით აღმაშენებლის მოედანი" ჰქვია. „ცენტრალური ბაზარი" კი არის „შპს „ფარი". აგრარული ბაზარი". ხოლო „ცენტრალურ ავტოსადგურს" აქვს სახელწოდება რკინიგზის სადგური **„ქუთაისი I"**. რაკილა ავტოსადგურზე ჩამოვარდა სიტყვა, აღვნიშნავთ, რომ მცდარია, როცა ვწერთ **„ავტო-სადგური"** ან **„ავტო სადგური"**. სიტყვა უნდა დაიწეროს ერთად—**„ავტოსადგური"**.

როგორც ცნობილია, ჩვენს ქალაქში განსაკუთრებული მოთხოვნილებით სარგებლობს ე.წ. **„წრიული"** მარშრუტი. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ ბოლო დროს გაჩნდა მისი სხვადასხვა „ვარიაციები": **„მოკლე წრიული"**; **„წრიული მარჯვენა"** **„წრიული მარცხენა"**. ვფიქრობთ, ეს საკითხი გადახედვას საჭიროებს, რაც, ალბათ, შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით უნდა მოხდეს.

ჩვენი აზრით, ასევე მსჯელობისა და კამათის საგანია ის საკითხიც, თუ რამდენად მიზანშეწონილია დიდი ქართველი მწერლის სახელი უკავშირდებოდეს აგრარულ ბაზარს. საუბარი გვაქვს ე.წ. **„ნინოშვილის ბაზარზე"**, რომლის სახელწოდებაც ასე ხშირად „ამშვენებს" ჩვენი მიკროავტობუსების სამარშრუტო აბრებს. ამ ბაზარს ჰყავს მფლობელი და აქვს სახელწოდებაც—შპს „ძველი ქუთაისი". ცნობისათვის, გაჩერება მდებარეობს სკვერის წინ და შეიძლებოდა სახელდებისას ამ გარემოებით გვესარგებლა.

და კიდევ ერთიც—არცთუ ისე იშვიათად, ვხვდებით ასეთ შემოკლებებს: **„დ. აღმაშენებლის მოედანი"**; **„თ. მეფის ქუჩა"**; **„გ. ფშაველას ქუჩა"** და ა.შ.. უნდა ვიცოდეთ, რომ ამგვარი შემოკლება დაუშვებელია. აუცილებელია, დაიწეროს სრულად: **დავით აღმაშენებლის მოედანი, თამარ მეფის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა** და სხვა.

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ ზოგჯერ სამარშრუტო აბრები უხარისხოდ, არაესთეტიკურად, ხელით არის შესრულებული. ეს ჩვენს უყურადღებობასა და უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს. უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი დანიშნულების ენობრივი თვალსაჩინოება (აბრა, ფირნიში, რეკლამა), სადაც არ უნდა იყოს იგი განთავსებული, ჩვენი ცნობიერების, ინტელექტისა და ეროვნული თვითშეგნების სახეა, რომლის ავკარგიანობაზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის ადამიანური და მოქალაქეობრივი ვალია.

**იოსებ იარლანაშვილი**

სიტყვები პროფილში ანუ ენის მარგალიტები

# აღდგომა

აღდგომა ქრისტიანული სამყაროს უბრწყინვალესი დღესასწაულია. ეს დღე ოფიციალურად 325 წელს დაადგინა ნიკეას პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ და დააკანონა, რომ იგი აღნიშნულიყო გაზაფხულის ბუნიობის ჟამს მთვარის აღვსების შემდეგ, მაგრამ არ უნდა დამთხვეოდა ებრაელების პასექს.

ტერმინი **აღდგომა** აღდგება (აღდგა ზმნის მასდარია. მან კონკრეტული დღესასწაულის სემანტიკა მოგვიანებით შეიძინა. ძველი ქართულისა და მომდევნო ხანის წერილობით ძეგლებში (დაახლ. XVII საუკუნის ბოლომდე) სიტყვა „აღდგომა" ნიშნავდა 1) ადგომა, წამოდგომა, აღმართვასა და 2) წინააღმდეგობას (ილია აბულაძე).

საბას განმარტებითაც, **აღდგომა** იგივეა, რა „ზეამართვა".

მეორე მხრივ, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღესასწაულის აღმნიშვნელ თავდაპირველ ტერმინად ქართულში გამოყენებული იყო აღვსება, რომლის ძირითადი მნიშვნელობა იყო „ავსება, გავსება, შესრულება, აღსრულება" (ილია აბულაძე).

ირკვევა, რომ აღვსება დაახლ. V საუკუნიდანვე იძენს ახალ სემანტიკურ დატვირთვას—ხდება ქრისტეს აღდგომისა და ზეცად ამაღლების გამომხატველიც, რასაც საფუძვლად უნდა დასდებოდა დღესასწაულის დროითი კავშირი მთვარის აღვსებასთან (სავსე მთვარესთან). საგულისხმოა ისიც, რომ მაცხოვრის აღვსება უკავშირდება გაზაფხულს, დროს, როცა მთელი ბუნება ივსება ახალი სიცოცხლით, ახალი ძალით.

**აღვსება** ჩვენთვის საინტერესო შინაარსით დასტურდება ძველი ქართულის თარგმანებსა თუ ორიგინალურ ძეგლებში: „აღვსებაჲ ჩუენი დღეს არს" და „ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი" (ილია აბულაძე); „აღვსების დღესასწაული" (გარიგება ხელმწიფის კარისა)...

საბას ლექსიკონშიც **აღვსება** არის 1) შესრულება, 2) აღდგომის დღე („აღდგომის დღესაც უჴმობენ"). საბა თავის თხზულებებში დღესასწაულის მნიშვნელობით მხოლოდ აღვსებას იყენებს. მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომში (1745წ.) და დ. გურამიშვილის „დავითიანში" უკვე **აღდგომაა** დადასტურებული **აღვსების** ნაცვლად: „ხოლო **აღდგომისა** წესი იყო ვგრე ნათლისღებისად წესად. („აღწერა სამეფოსა საქართველოისა"); „ერთ დღეს **აღდგომაც** იყო და ხარებაცა" (დ. გურ.)

**ნიკო და დავით ჩუბინაშვილების** ქართულ-რუსულ ლექსიკონებშიც **აღვსება** აღარაა რელიგიური ტერმინი. სამაგიეროდ, **აღდგომა** შეტანილია ორი მნიშვნელობით: 1) განცოცხლება, აღდგომა მკვდრეთით, воскресать; 2) საუფლო დღე ბასქის მოსახსენებლად მაცხოვრისა ჩუენისა მკვდრეთით აღდგომისა, светлое воскресение".

ასე, საუკუნეების მანძილზე ქართველი კაცის ცნობიერებაში **აღვსების**, როგორც დღესასწაულის გამოხატვის თანდათან შეიცვლებოდა პირველ საფუძველს (მთვარის აღვსებას) და დაახლ. XVIII საუკუნიდან ამ დღესასწაულის ფუნქციონირებით მთავარი გახდა **ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა, ზეცად ამაღლება** და არა ის, თუ როგორ მოხდა ეს მოვლენა. შესაბამისად, ქართულ ენაში **აღდგომა** მკვიდრდება დღესასწაულის აღმნიშვნელ ძირითად ტერმინად, **აღვსება** კი ჰკარგავს თავის თავდაპირველ სემანტიკას.

ღირსსაცნობია ის გარემოებაც, რომ ძველ ქართულშივე დღესასწაულის მნიშვნელობით **აღვსების** პარალელურად გამოიყენებოდა ტერმინები—**პასექი** და **ზატიკი**.

**პასექი** (ძვ. ებრ. ჰესაჰ-„გადასვლა")—ძვ. ებრაელთა საგაზაფხულო რელიგიური დღესასწაული ეგვიპტიდან გამოსვლისა და ეგვიპტელთა ბატონობისაგან გათავისუფლების აღსანიშნავად (ქეგლ).

**ზატიკი**—„ვნება", პასექი, დღესასწაული, ჰურიათაჲ, მსხვერპლი (ილია აბულაძე): „**ზატიკად** ჩუენდა დაიკლა ქრისტე"; „მახლობელ იყო ზატიკი იგი ჰურიათაჲ იყო მახლობელ პასექი დღესასწაული იგი ჰურიათაჲ" (ახ. აღთქმა). ზატიკი აღდგომის მნიშვნელობითაა წმინდა ათონელ მამათა თხზულებებშიც. საბას ლექსიკონში პასექი არაა ცალკე ლექსიკური ერთეული, ზატიკი კი ასეა განმარტებული: „გამოჴსნა, გინა განთავისუფლება", „ზატიკი არს შესაწირავი [აღდგომა]. ხოლო „სწავლანში" **ზატიკი** წარმოდგენილია აღვსების პარალელურად, დღესასწაულის მნიშვნელობით („მივალს მარხვა და მოვალს ზატიკი; გვეტკბობის აღვსების მოსვლა").

**დავით ჩუბინაშვილის** მიხედვით **ზადიკი/ზატიკი** არის „დღესასწაული, ზოგან დაუდვიათ პასექის მაგიერ; პასექი—ჩინებული დღესასწაული ურიათა... ან საუფლო დღესასწაული ქრისტეს აღდგომისა".

თანამედროვე ქართულში **პასექი** და **ზატიკი** ისტორიზმებად არიან ქცეული (თუმცა ძველი ვითარების დასტურად მაინც შემოგვრჩა **პასექისაგან** მომდინარე სახელი **„პასკა"** (ნამცხვარი), რომელიც მხოლოდ ამ დღესასწაულისთვისაა განკუთვნილი.

ჩნდება კითხვა—რატომ დაუკავშირდა ძვ. ებრაული სიტყვა **პასექი** ქრისტიანული აღდგომის დღესასწაულს?

როგორც ზემოთ აღინიშნა, პასექი სიტყვასიტყვით ნიშნავს „გადასვლას" (ებრაელთა გათავისუფლების შემდეგ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას...). როცა ქრისტე ჯვარს ეცვა და შემდეგ მკვდრეთით აღდგა (ერთი მდგომარეობიდან გადავიდა მეორეში), მისმა მოწაფეებმა მაცხოვარს უწოდეს **პასექი**, რაც იმავდროულად მსხვერპლსაც ნიშნავდა („ქრისტე არის ჩუენი პასექი"; „პასექი ჩუენი ქრისტე დაიკლა" (ახ. აღთქმა)... და ასე თანდათან ახალი აღთქმის წიგნების თარგმანებით **პასექი** ზოგადად დაუკავშირდა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, შემდგომ კი კონკრეტული დღესასწაულის მნიშვნელობაც შეიძინა (საზეიმო ხასიათი ებრაელების პასექსაც ხომ ჰქონდა!).

ანალოგიური ვითარებაა ზოგ ევროპულ ენაშიც. მაგალითად, იტალიურში დღესასწაულის აღსანიშნავად გამოიყენება ორი ტერმინი: PASQUA („პასქუა") და RESURREZIONE (რესურეციონე-აღდგომა, გაცოცხლება, აღვსება"). პირველი ძველია (თუმცა უფრო ტრადიციული, ხშირად გამოყენებული), მეორე- ახალი. ასევე: რუსული ПАСХА და воскресение.

დასასრულ, საინტერესოა მეგრულ-სვანურის ჩვენებაც. ორივეგან ქართული აღდგომის შესატყვისია ერთი სიტყვა—**თახაშუ** (მეგრული) /**თახაშ** (სვანური), რაც მხოლოდ დღესასწაულის გამოსახატავად იხმარება. რამდენადაც ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა ახალი წელთაღრიცხვიდან აღინიშნება, ცხადია, საანალიზო ტერმინი საერთო ქართველური წარმოშობისა ვერ იქნებოდა.

**ცუცუნა ფეიქრიშვილი**

ენა და საზოგადოება

# ენა, დიალექტი და პოლიტიკური კორექტულობა

I. რა არ შეიძლება: ლუდვიგ ვიტგენშტაინი ენას ადარებს თამაშს, რომელიც გარკვეულ სათამაშო წესებს შეიცავს, თუმცა ისინი არიან წინასწარდადგენილნი, არამედ მხოლოდ თამაშით განისაზღვრებიან. სიტყვის მნიშვნელობა (და საერთოდ მნიშვნელობები) ენობრივი თამაშით ყალიბდება და მოხმარებაზეა დამოკიდებული. ენობრივი თამაშის შეცვლა მთლიანად მნიშვნელობათა სამყაროს შეცვლასთან, ანუ სამყაროს შეცვლასთან არის დაკავშირებული. ამდენად, განვითარების იდეა არ გამოდგება ამ ცვლილების გადმოსაცემად. პირველყოფილ ადამიანს ისევე აქვს ჩვენზე ლაპარაკის უფლება, როგორც ჩვენ—მასზე. პროგრესის ილუზიით შეპყრობილები საკუთარ ენობრივ თამაშს დროზე და ისტორიაზე მაღლა აყენებენ, ყველა სხვა ენობრივ თამაშს კი განვითარების საფეხურების მიხედვით ალაგებენ. არ შეიძლება სხვა ენობრივი თამაშის შესახებ ვიმსჯელოთ ჩვენი ენობრივი თამაშიდან ამოსვლით, ანუ არ შეიძლება ჩინურ ენაზე მოლაპარაკე დავადანაშაულოთ რუსული ენის გრამატიკის წესების დარღვევაში და პირიქით.

II. რა შეიძლება: ადამიანს შეუძლია ილაპარაკოს მხოლოდ მაშინ, როცა მისით და მასში ლაპარაკობს მიწა, ცა, მოკვდავი და ღვთაებრივი. ლაპარაკით რიტუალიზდება მარადიული დავა მიწისა და სამყაროსი, განხეთქილების იდეა და საწინააღმდეგო ძალთა ერთობა—წერს მარტინ ჰაიდეგერი. ენა განხორციელებაა ამ ძალათა შრომის (იგულისხსება მიწა და ცა). ვინ ლაპარაკობს?—ლაპარაკობს ენა და არა ადამიანი. „ადამიანი ლაპარაკობს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ისტორიულად შეესატყვისება ენას", თუმცა ლაპარაკობს არა უბრალოდ ენა, არამედ ენა, როგორც დიალექტი, „მიწის" ენა. აქედან გამომდინარე, ლაპარაკობს განსაზღვრული, გამოკვეთილი, მხოლოდ ამ დიალექტს მიკუთვნებული სხეულებრივი პრაქტიკა, ჟესტი, შრომის ჩვევები.

III. ენობრივი თამაში, რაზედაც ვიტგენშტაინი ლაპარაკობს, ჰაიდეგერთან დიალექტის სახეს ღებულობს. მათ აერთიანებთ ზოგადი და საერთო ენის არარსებობა, ანუ იმ მთლიანობისა, რასაც ენობრივი თამაშის და დიალექტის მიღმა აგებს მეტაფიზიკა. შესაბამისად, აღარაა იერარქიები: ცენტრალური და მარგინალური, გაბატონებული და რეპრესირებული, სალიტერატურო დ არასალიტერატურო ენა და ასე შემდეგ. „ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი სფერო სოციოლინგვისტიკისა—არის დიალექტისა და ენის გამიჯვნის საკითხი. ეს, შესაძლოა, ცხადი ჩანდეს თავდაპირველად, როდესაც დიალექტები ენის უბრალო ქვედანაყოფებად გვევლინებოდნენ, მაგრამ ეს პრობლემა თანდათან სულ უფრო ბუნდოვანი ხდება..." წერს **მანანა ტაბიძე**. ამ ბუნდოვანების დაძლევას იგი არალინგვისტური სფეროს—პოლიტიკის კომპეტენციად მიიჩნევს, რადგან „მხოლოდ ლინგვისტური კრიტერიუმები არ არის საკმარისი, რათა დიალექტები გაიმიჯნოს ენებისაგან", მაინც როგორ არის შესაძლებელი ეს გამიჯვნა? „პირველ რიგში, თითოეულმა ქართველმა თავ-თავის ადგილას უნდა დააყენოს ზოგადქართველური ფენომენი—ქართული სალიტერატურო ენა და კუთხური მონაცემი—საშინაო სამეტყველო კოდი ანუ დიალექტი (კილო)..." **ტარიელ ფუტკარაძის** ეს აზრი ეხმიანება მანანა ტაბიძის წერილის შინაარსს, თუმცა ეს უკანასკნელი ამას პირდაპირ არ გამოხატავს. უფრო მეტიც, მანანა ტაბიძე შენიშნავს: „ენობრივი კოლექტივების ურთიერთობა რთულსა და მრავალფეროვან პერიპეტიებს შეიცავს. ამ ურთიერთობებში დაახლოების ან დაშორების ხელოვნურად სტიმულირება, ენის ფუნქციონირების ბუნებრივი გზის გამრუდების მცდელობა, პოლიტიკური ან ეკონომიკური მიზნებით ენობრივი კონტაქტების უპასუხისმგებლო რეგულირება შესაძლებელია ენობრივი კონფლიქტების მიზეზი გახდეს" (აქ არ შევეხები „ენობრივი კონფლიქტის" ცნებას, რომელიც ენების არსებობის აუცილებელი პირობაა, არც იმას, რამდენად შეიძლება „ენის ფუნქციონირების ბუნებრივი გზის" განსაზღვრა). დავუბრუნდეთ ისევ „ზოგადქართველური ფენომენის—ქართული სალიტერატურო ენისა და კუთხური მონაცემის—საშინაო სამეტყველო კოდის ანუ დიალექტისთვის" ადგილის მიჩენის პრობლემას. ძველი ბერძნები ადგილს, ანუ ტოპოსს ენისგან არკვევდნენ. ენა კი არ არის რაღაც „ადგილას", არამედ ადგილი ხდება შესაძლებელი ენის შიგნით. ადამიანი უნდა ეცადოს ენაში საკუთარი ადგილის მოძებნას და არა პირიქით. ბერძნული ყოფიერებისა და აზროვნების წესი ჩვენთვის, როგორც გვეუბნებიან, დავიწყებული და დახშულია.

IV. ზემოთ მოყვანილი შეხედულებები ვიტგენშტაინისა და ჰაიდეგერისა ენის შესახებ „პოლიტიკური კორექტულობის" ნიმუშს[1] ქმნიან, მანანა ტაბიძის და ტარიელ ფუტკარაძის ფრაგმენტები კი—პოლიტიკური არაკორექტულობის. „პოლიტიკური კორექტულობა" ენათა სიმრავლის აღიარებით იწყება. ჰეროლდ ბლუმის მიხედვით პოლიტიკური კორექტულობისკენ მიისწრაფიან ისინი, ვინც თავს კანონის გარეთ აყენებს (იგულისხმება დასავლური კანონი. კანონი, როგორც დასავლური მოვლენა), ანუ ფემინისტები, მარგინალები, პოსტმოდერნისტები, ენათა თანასწორობის დამცველები. პოლიტიკური არაკორექტულობა კი კანონის დაცვისკენ გვიბიძგებს, ესე იგი გვასწავლის, რა შეიძლება და რა არ შეიძლება.

1. ტერმინი ეკუთვნის ამერიკელ ლიტერატურათმცოდნეს ჰეროლდ ბლუმს, რომელიც ამ ტერმინს ნეგატიური მნიშვნელობით ხმარობს. პოლიტიკური კორექტულობა ნიშნავს სამყაროს ხედვას რეპრესიის ცნებებში, ანუ რეპრესირებულებად და არარეპრესირებულებად მხარეების დაყოფას. ბოლომდე ჰაიდეგერის მიკუთვნება პოლიტ. კორექტულობისადმი სახიფათოა, რადგან იგი „სამყაროს ხედვას" ეწინააღმდეგება.

**მირიან ებანოიძე**

მართლმეტყველება

# ქრისტე აღსდგა! — ჭეშმარიტად!

თანამედროვე ქართულში გვხვდება **აღ**-ზმნისწინიანი პარალელური ფორმები: **აღდგა და აღსდგა. აღდგა** ერთპირიანი ზმნაა. მასში წარმოდგენილია მხოლოდ სუბიექტური პირი, რომელიც გამოხატულია -ა ბოლოსართით. ჩვეულებრივ მეტყველებაში სწორედ მართებული ფორმა **აღდგა** უნდა გამოვიყენოთ. მაგალითად: **ხალხი აღდგა უსამართლობის წინააღმდეგ.**

**აღსდგა** ფორმაც ერთპირიანია, მაგრამ მასში სუბიექტური პირის ნიშნის (-ა ბოლოსართი) გარდა წარმოდგენილია ობიექტური პირის ნიშანიც (**ს**-თავსართი). ამიტომ აღნიშნული ზმნური ფორმა დღეს გრამატიკულად გაუმართლებელია, თუმცა **აღსდგა** დასაშვებია მყარ გამოთქმად ქცეულ სააღდგომო მისალმებაში: **ქრისტე აღსდგა!** აქვე უნდა ვახსენოთ პასუხი, რომელიც ამ მისალმებას მოჰყვება—**ჭეშმარიტად!** მის პარალელურად საღვთისმსახურებო ტერმინოლოგიაში გავრცელებულია სიტყვა **ამინ** (ძვ. ქართ. **ამენ, ამჱნ**). იგი ებრაული წარმოშობისაა და ნიშნავს: ჭეშმარიტია, ჭეშმარიტად! (ქეგლ, I, თბ., 1990, გვ. 48) სწორედ ქართულმა შესატყვისმა დაიმკვიდრა ადგილი სააღდგომო მისალმების მყარ ფორმულაში: **ქრისტე აღსდგა!—ჭეშმარიტად!**

**რუსუდან სალინაძე**

# „ქუთაისური საუბრები — VIII"

2001 წლის 4–5 მაისს ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული ტრადიციული ქართველოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი—„ქუთაისური საუბრები — III", რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი ენათმეცნიერის ვარლამ თოფურიას დაბადებიდან 100 წლისთავს.

სიმპოზიუმის თემა: საქართველო ისტორიულ ევრაზიულ სივრცეში (დიალექტოლოგიური და კულტუროლოგიური ასპექტები).

სიმპოზიუმი გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, პროფ. ა. ნიკოლეიშვილმა. სამეცნიერო აუდიტორიას მიესალმნენ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. გ. თოფურია და იმერეთის გუბერნატორი თ. შაშიაშვილი.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ენათმეცნიერების, ისტორიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, ფოლკლორისტიკის წამყვანმა სპეციალისტებმა, საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებისა და უმაღლესი. სასწავლებლების წარმომადგენლებმა.

სამეცნიერო კონფერენციის მუშაობა მაღალ მეცნიერულ და ორგანიზაციულ დონეზე წარიმართა. ჩატარდა 2 პლენარული და 3 სექციური სხდომა. პლენარულ სხდომებს უძღვებოდა დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ტ. ფუტკარაძე.

I სექციას ხელმძღვანელობდა ფილოლოგიის მეცნ. კანდ. რ. შეროზია, II სექციას—ისტორიის მეცნ. დოქტორი რ. თოფჩიშვილი, III სექციას—ფილ. მეცნ. დოქტორი თ. უთურგაიძე. მომხსენებლებმა წარმოადგინეს მაღალკვალიფიციური მოხსენებები სხვადასხვა ასპექტით.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მე–2 პლენარული სხდომა, რომელზეც გამოიკვეთა ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი და აქტუალური თემები, კერძოდ: ზოგადქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების ისტორიული ურთიერთმიმართებისა და ქართველური ენებისა თუ დიალექტების (სვანთა და მეგრელ–ლაზთა სამეტყველო კოდების) კვალიფიკაციის საკითხი. კამათში აქტიური მონაწილეობა მიიღეს: ნ. ქუთელიამ, ტ. ფუტკარაძემ, მ. ქურდიანმა, ზ. ჭუმბურიძემ, ზ. კიკნაძემ, მ. ნათაძემ, ო. კახაძემ... იყო აზრთა ურთიერთგაზიარება, შეჯერება. სიმპოზიუმში მონაწილეთა დიდმა ნაწილმა მიიღო პროფ. ტ. ფუტკარაძის მიერ წარმოდგენილი ქართველთა ენობრივ ერთეულთა კვალიფიკაცია, კერძოდ, მსჯელობის საფუძვლად აღებული იყო მოდელი: ქართველები, ქართველთა მიერ შექმნილი სამწიგნობრო ენა და ქართველთა დიალექტები; აქედან ამოსვლით, ქართულ სამწიგნობრო ენასთან, როგორც ქართველთა ეროვნულ თვითშეგნებასა და კულტურის არსთან მიმართებით ქართველთა საშინაო სამეტყველო კოდები შემდეგნაირად დაჯგუფდა: ცენტრალური კილოები: კახური, ქართლური, იმერული, ლეჩხუმური, გურული; განაპირა კილოები, თავის მხრივ, 6 ჯგუფად გაერთიანდა: რაჭული კილოები: მთარაჭული, ბარის რაჭული; ფხოვური: მთიულურ–გუდამაყრული, მოხევური, ხევსურული, ფშავური, ჩაღმათუშური; აქვე შევიდა წოვა–თუშური; ჰერული: კაკური, ალიაბათური; მესხური: სამცხური, ჯავახური, ტაოური, იმერხევული, მაჭახლური, ლივანური, აჭარული; ზანური: ლაზური, მეგრული; სვანური: ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული, ბალსქვემოური, ბალსზემოური. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები: ფერეიდნული, „ჩვენებურების ქართული" და ყიზლარ–მოზდოკური განაპირა დიალექტების რიგში განიხილება.

სიმპოზიუმზე ღირსეულად წარმოაჩინეს თავი დიალექტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა. მოხსენებები ძირითადად ერთი მიმართულების იყო—შეეხებოდა ბერძნულ, არაბულ, სპარსულ, თურქულ ნასესხობებს ქართულში. სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებს. გამოითქვა მოსაზრება, რომ მომავალში კვლევა–ძიება წარიმართოს არა მხოლოდ იქითკენ, თუ რა შეითვისა და შეისისხლხორცა აღმოსავლური სამყაროდან ქართულმა სალიტერატურო ენამ და დიალექტებმა, არამედ, უპირველესად, ყურადღება უნდა გამახვილდეს უკუგავლენაზე, რა შეიტანა ქართულმა ყოფიერებამ და ცნობიერებამ მეზობელი ქვეყნების კულტურულ ცხოვრებაში.

სიმპოზიუმის ბოლოს სექციის ხელმძღვანელებმა შეაჯამეს მუშაობის შედეგები, ჩამოსულმა სტუმრებმა ერთსულოვნად აღნიშნეს ის მნიშვნელობა, რომელიც ამგვარი სიმპოზიუმების ჩატარებას აქვს საქართველოში მეცნიერების განვითარების საქმეში. ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ დიალექტოლოგიის ინსტიტუტი არის საერთაშორისო დონის ერთ–ერთი მყარი ბაზა ქართველური დიალექტოლოგიური ტექსტების მოპოვება–დამუშავებისა და მეცნიერული კვლევა–ძიებისათვის.

აღნიშნული სიმპოზიუმის ჩატარება საინტერესო და ნათელი ფურცელია ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში.

სიმპოზიუმის დღეებში გამოქვეყნდა კრებულის „ქართველური მემკვიდრეობა" მე–5 ტომი, რომელშიც დაიბეჭდა წინა სიმპოზიუმზე (ქუთაისური საუბრები— VII) წაკითხული მოხსენებები. ამასთან, კრებულში შევიდა დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მომძიებელთა ჯგუფების მიერ მოპოვებული და დამუშავებული ქართველური (ოკრიბული, ბალსზემოური (სვანური), მეგრული) ტექსტების ნაწილი, რომელიც კიდევ უფრო წარმოაჩენს დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ გაწეულ საქმიანობას. წიგნი დაიბეჭდა ქუთაისის მერიის ფინანსური დახმარებით.

**ეკა დადიანი**

უცხო სიტყვები

ვრცელ ტექსტებში საგულისხმო ადგილების აღნიშვნისა და საზოგადოდ შენიშვნებისთვის ე.წ. ფერად მარკერებს იყენებენ. მარკერისათვის, ისევე როგორც ფლომასტერისთვის (ინგლ. flowmaster) საწერად გამოყენებულია სპეციალური საღებავით გაჟღენთილი ფოროვანი ღერძი.

მარკერის პარალელური ფორმა მარკიორი (ფრ. marqueur<marquer—აღნიშვნა) დიდი ხანია დამკვიდრებულია რუსულ ენაში, როგორც მომნიშვნელი, ნიშანმდებელი. მარკიორს ასევე უწოდებენ საბილიარდოს მსახურს, რომელიც თამაშის დროს ანგარიშის აღნიშვნას ახდენს. საკანცელარიო ნივთი, ფლომასტერის ტიპის ნიშანმდებელი ქართულ ენაში მარკერის სახელითაა გავრცელებული (ინგ. mark<marker—აღმნიშვნელი) და მარიენტირებელ სასიგნალო ნიშანს უწოდება. მოცემული ტერმინი მაჩვენებლის მნიშვნელობით არსებობს ლინგვისტიკაში.

მაშასადამე, **მარკერი/მარკიორი** წარმოქმნილია ქართულ ენაში უკვე დამკვიდრებული სიტყვისაგან მარკა (mark).

**მარკა**—(გერმ.) 1. საფოსტო და ზოგ სხვა გამოსაღებების გადახდის **ნიშანი**—პატარა ოთხკუთხედი ქაღალდი, რომელზედაც რაიმე გამოსახულებაა, საფოსტო მ.,—საგერბო მ. 2. სავაჭრო ნიშანი რაიმე ნაწარმზე, საქონელზე. ფაბრიკის მ. 3. ხარისხი, ღირსება საქონლისა—უმაღლესი მარკის ფოლადი (ქეგლ, თბ., 1986).

მარკას უკავშირდება ასევე ფართოდ გავრცელებული სიტყვები **მარკირება, მარკირებული.**

**მარკირება**—რაიმე საქონელსა თუ ნაწარმზე დამღის (ნიშნის, მარკის) დასმა სადაურობის, ხარისხის და მისთ. აღსანიშნავად. აქედან გამომდინარე, **მარკირებული**—რაიმე ნიშნების მქონე, ნიშანდებული ანუ აღნიშნული პროდუქცია. მარკირებულის საწინააღმდეგო ტერმინია—**არამარკირებული** (აღუნიშნავი).

ფლომასტერის ტიპის ნიშანმდებლის მარკერის მსგავსად ტექსტში აღნიშვნებისა და შენიშვნებისთვისაა განკუთვნილი **ლინერი** (ინგ. line<liner). ეს უცხო სიტყვა ქართულ ენაში განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება და იკითხება **ლაინერი** (ინგლ. liner<line-ხაზი)—შორეული ნაოსნობის დიდი საოკეანო გემი. საჰაერო ლაინერი—მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1973).

საკანცელარიო ნივთის—ლინერისთვის, ისევე როგორც ფლომასტერისთვის, საწერად გამოყენებულია სპეციალური, ფერადი საღებავით გაჟღენთილი ფოროვანი ღერძი. სხვაგვარია ამ ღერძის ბოლო, რომლითაც მარკერისაგან განსხვავებული ხაზის გავლებაა შესაძლებელი.

მარკერისა (mark-er) და ლინერის (lin-er) შემთხვევაში გამოყენებულია, საგნის, ნივთის, ინსტრუმენტის და .შ. აღმნიშვნელი არსებითი სახელის მაწარმოებელი—er სუფიქსი.

ამგვარია ახლადდამკვიდრებული საკანცელარიო ტერმინების—მარკერისა და ლინერის განმარტებები, განსხვავება მათ შორის და ქართული შესატყვისები.

მასალა მოამზადა
**სოფიო სულაბერიძე**

# სიტყვათა აკიდო



**წინა ნომერში გამოქვეყნებული „სიტყვათა აკიდოს" პასუხები:**
ხელსახოცი, მამაკაცი, სამკეცი, პრინცი, კვიცი, ვაცი, ქანცი, საკეცი, შუაკაცი, დედაკაცი, მარგანეცი, ქონდრისკაცი, ძმადნაფიცი, პირსახოცი, ბერიკაცი, ვაჟკაცი, საცეცი, ხორცი, კეცი, მხეცი, აბზაცი, ნამცეცი, მისალოცი, ჯარისკაცი, ცხვირსახოცი.

რედაქტორთა საბჭო:
იოსებ ბარდანაშვილი, ლია რუსაძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), რუსუდან სალინაძე, სოფიო სულაბერიძე, ტარიელ ფუტკარაძე (მთავარი რედაქტორი), შუშანა ფაიქრიშვილი, მარინე ქაცარავა, ქეთევან ყურაშვილი, თინათინ ღვინაძე.

დირექტორატი:
ლოლა ბაზრიაძე, ვარლამ დათაშვილი

რეგისტრაციის ნომერი:
№12/5-ე-4818

ჩვენი მისამართი:
ფალიაშვილის ქ. №2
ტ. 4-14-05, 4-28-83
ელ. ფოსტა:
kartuli 9 @ posta. ge

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა გ. ტაბიძის სახ. ს/ს „სტამბაში"
მისამართი:
ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33